ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5837568

ნომერი: AR1881507

თარიღი : 25.02.2022

გაცემის თარიღი : 07.03.2022

გაცნობის თარიღი : 07.03.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოლო აღმართი , N 8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 25 თებერვალს №AR1881507 განცხადებით მომართა თამაზი მურვანიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 01 დეკემბრის №5709409 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 01 დეკემბრის №5709409 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ბოლო აღმართის ქ. №8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.15.05.088.001), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2021 წლის 17 დეკემბრის №5719695 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 17 დეკემბრიდან 2022 წლის 17 ივნისის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2021 წლის 01 დეკემბრის №5709409 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა საზაფხულო ფართობის მითითების ნაწილში. კერძოდ, საზაფხულო ფართობში არ არის შეყვანილი +13.10 ნიშნულის გეგმაზე არსებული ტერასის ფართობი (108.2 კვ.მ.) და საზაფხულო ფართობი 76.8 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 185.0 კვ.მ. (76.8+108.2). შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

სამსახურმა, შეთანხმებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 01 დეკემბრის №5709409 ბრძანებით შეთანხმებულ +13.10 ნიშნულის გეგმაზე არსებული ფართი წარმოადგენს არაექსპლუატირებად სახურავს, რომელიც საზაფხულო ფართობად (ტერასად) ვერ ჩაითვლება. შესაბამისად, სამსახურის 2021 წლის 01 დეკემბრის №5709409 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომა საზაფხულო ფართობთან დაკავშირებით არ ფიქსირდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, სამსახურის 2021 წლის 01 დეკემბრის №5709409 ბრძანებაში საზაფხულო ფართობი (76.8 კვ.მ.) სწორად არის დაფიქსირებული, სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილების და სამსახურის 2021 წლის 01 დეკემბრის №5709409 ბრძანებაში საზაფხულო ფართობთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომის გასწორების შესაძლებლობას.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.